ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი

ბექა I ჯაყელის (სამცხის მმართველის- 1285-1306 წწ.) ქანდაკების ესკიზის (არქიტექტურულ-მხატვრული პროექტის)

საკონკურსო დოკუმენტაცია

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3 საფუძველზე.

2015 წელი
ქ. ახალციხე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. საკონკურსო განცხადება----------3გვ.

2. ტექნიკური დავალება ----------5გვ.

3. დანართი №1----------7გვ.

4. ხელშეკრულების პროექტი----------10 გვ.

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს ქანდაკების ესკიზის (არქიტექტურულ-მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის) შემუშავებაზე, მომსახურების საკონკურსო წესით სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია ქ. ახალციხეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლის ,,რაბათის უბანი" ტერიტორიაზე ბექა I ჯაყელის (სამცხის მმართველის- 1285-1306 წწ.) ქანდაკების საუკეთესო ესკიზის (არქიტექტურულ-მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის) გამოვლენა და შემდგომში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება.
3. **<u>შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს: 30000 ლარს;</u>**
4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი(ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტი ს/კ 224095903);
   გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება და პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
   შენიშვნა: დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები, წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები.
9. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ: 2015 წლის 24 თებერვლიდან, შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2, ქალაქ ახალციხის მუნიციალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება: **2015 წლის 10 მარტს 15:00 საათზე.** განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.
11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
    ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.
    ანგარიშსწორება მოხდება ერთ ეტაპად მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
    საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
12. **კონკურსანტმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**
    - **განცხადება მონაწილეობის მიღების შესახებ;**

- **რეკვიზიტები,** რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
  - კონკურსანტის (ფიზიკური ან იურიდიული) იურიდიული ფორმა და დასახელება;
  - საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი;
  - კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
  - ხელმძღვანელის სახელი, გვარი
  - კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ☐ტელ. 🖷 ფაქსი.: 📱 მობ.:
  - ელექტრონული მისამართი, E-mail:
  - ბანკის დასახელება
  - ბანკის კოდი
  - ანგარიშსწორების ანგარიში ;

- **საკონკურსო წინადადების ფასი** (დღგ-ს გათვალისწინებით, თუ კონკურსანტი არის დღგ- ს გადამხდელი) ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო წინადადების ფასში სრულიად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები;
- **ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;**
- **ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;**
- **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;**
- **ინფორმაცია დღგ-ს გადამხდელად ან არ გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.**
- **ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია(არსებობის შემთხვევაში);**

  ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტაცია გაცემული უნდა იყოს "კონკურსის გამოცხადების" ეტაპის დაწყების შემდეგ.

  ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტის სახით.

13. **საკონკურსო განაცხადს(პროექტს) უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

- საკონკურსო პროექტი (ქანდაკების მოდელი), რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს, მაკეტის, ნახაზების, რამდენიმე რენდერის ან პერსპექტიული ჩანახატის ფორმით მასშტაბი -1:00 ÷1:10;
- განმარტებითი ბარათი, მასში ჩამოყალიბებული უნდა იყოს პროექტის კონცეფცია გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა;
- ქანდაკების ესკიზის პროექტი (სავარაუდო ზომები: თიხის ან პლასტელინის ქანდაკება 0,5 მ და პოსტამენტი), რასაც თან უნდა დაერთოს ძეგლის განხორციელებისათვის საჭირო მასალის ანოტაცია;
- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს A3 ან A2-ის ზომის ორ პლანშეტზე. შესრულების მანერა თავისუფალია. ნახაზები უნდა ასახავდეს ქანდაკების ესკიზის კომპოზიციის ზომებს, ფერსა და ფაქტურას;
- სკულპტურის მაკეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ზომით 1:00÷1:500;
- განშლები, ფოტომონტაჟი ან ჩანახატი;
- ტერიტორიის სიტუაციური გეგმა, მასშტაბი - 1:00÷1:500;
- ქანდაკების გეგმა, მასშტაბი - 1:00÷1:100;
- **ტერიტორიის კეთილმოწყობის (გამწვანება, განათება, მისასვლელი ბილიკი და ა.შ.) კონცეფცია;**
- კონკურსანტის წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია CD-ზე PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

  ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტის სახით 2 ეგზემპლარად.

14. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა:
კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს წინადადების ფასი მხარე:
   - **პროექტი: კოეფიციენტი- 0.7**
   - **საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი- 0.3**

   შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

   კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.
15. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს 20 სამუშაო დღის განმავლობაში სრულყოფილი პროექტის (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია) წარმოდგენა მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა შემსყიდელისათვის.
16. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებას იტოვებს შეიტანოს ცვლილებები ესკიზში.
17. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო,
   აგრეთვე სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობის ხარჯები.
18. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან:
   საკონკურსო კომისიის წევრი:
   მანანა ბალიაშვილი
   ტელ: 599177585,
   ელ. ფოსტა: mancho_baliashvili@yahoo.com

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ქ. ახალციხეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლის ,,რაბათის უბანი" ტერიტორიაზე ბექა I ჯაყელის (სამცხის მმართველის- 1285-1306 წწ.) ქანდაკების არქიტექტურულ-მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

ბექა I ჯაყელი იყო სამცხის მმართველი 1285-1306 წწ. იგი საქართველოს მეფეთა მანდატურთუხუცესის სამოხელეო ტიტულს ატარებდა. ბექა I დროს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან მომძლავრებულმა თურქებმა განაახლეს აგრესია საქართველოს მიმართ, მაგრამ ბექა I-მა დაამარცხა და განდევნა ისინი (აზატ მოსეს ლაშქრობა საქართველოში). იგი იყო ქართული პოლიტიკური გავლენის აქტიური დამცველი ტრაპიზონის სამეფოში.

ბექა I ენერგიული მმართველი იყო. მის დროს შედგა სამართლის წიგნი, რომელიც ბატონყმური წყობილების განმტკიცებას ემსახურებოდა ("წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე"). მის დროს აშენდა წმ. საბას ტაძარი საფარაში.

ბექა I-ის ერთ-ერთი ასული ნათელა იყო დემეტრე II თავდადებულის მეუღლე. მათი ვაჟი გიორგი (შემდგომში გიორგი V ბრწყინვალე) ბექა I-ის ოჯახში აღიზარდა.

ა) ესკიზური პროექტი უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ღირებულებებს (ქანდაკების სამოსი უნდა ეხმაურებოდეს ბექა I ჯაყელის მოღვაწეობის ეპოქას) ;
ბ) ესკიზი უნდა წარმოადგენდეს სივრცით კომპოზიციას, მასშტაბის თვალსაზრისით არ უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს განთავსების ადგილის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპოზიციის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებს;
გ) ესკიზი გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ- არქიტექტურული სინთეზის საშუალებით; ადგილობრივი რბილი ქვის მასალის (საკვეთი ქვა) შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს კლიმატური პირობები, შესრულების მანერა - თავისუფალი, ქანდაკება- 3 მ, 1/1 მ სავარაუდო გაბარიტული მოცულობით, კვარცხლბეკი-მოპირკეთებული ორნამეტენტებით და დეკორით 2 მ სავარაუდო გაბარიტული მოცულობით;
დ) ესკიზი შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი სახვითი საშუალებით (ფანქარი, გუაში, ტუში, აკვარელი, ტემპერა, შერეული ტექნიკა და სხვა);
ე) ავტორმა უნდა წარმოადგინოს ესკიზის კომპიუტერული ვერსია, ამობეჭდილი ფერად პრინტერზე; ყოველ ეგზემპლარზე უნდა იყოს აღნიშნული ავტორისათვის სასურველი მასალა,
მონაწილე პირთა წრე შეუზღუდავია.
მისამართი: ქ. ახალციხეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლის ,,რაბათის უბანი" ტერიტორია.

დანართი №1-ში მოცემულია არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, ადგილი სადაც განსაზღვრულია ქანდაკების დადგმა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა მოხდეს, შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2-ში.

პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ელექტრონული ვერსია სრული შემადგენლობით:

- პროექტის შემადგენელი ყველა ფურცელი - 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსია PDF ფაილის სახით.
- პროექტის სამუშაო ვერსია - დაარქივებული Aarchicad_ის ან autocad_ის ფაილების სახით.
- სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა: 4 ეგზემპლიარად და ელ. ვერსიის სახით;
- მაკეტის სახით;

შენიშვნა: **ქ. ახალციხეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლის ,,რაბათის უბანი" ტერიტორიაზე ბექა I ჯაყელის (სამცხის მმართველის- 1285-1306 წწ.) ქანდაკების განხორციელების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 120000 (ასოცი ათასი) ლარს.**

შესყიდვის საერთო ღირებულებაში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი.

საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი ნორმებითა და სტანდარტებით.

გამარჯვებული პროექტის ავტორები კონკურსის მომწყობს გადასცემენ ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს, ასევე შესყიდულ პროექტში ცვლილებების განხორციელების უფლებას ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ˜ ქვეპუნქტის შესაბამისად

იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

''შემსყიდველი''

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული

მის: 0800 ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. #2

ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“

ბანკის კოდი: TRESGE22

ა/ა GE GE24NB0330100200165022

ს/კ 224095903

2015/02/18

2015/02/18

2015/02/18

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი

ქ. ახალციხე — 2015 წელი

ერთის მხრივ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეული, წარმოდგენილი მერის გიორგი კოპაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი), და მეორეს მხრივ, ————————--- (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი ——--———— სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

ქ. ახალციხეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლის ძეგლის ,,რაბათის უბანი" ტერიტორიაზე ბექა I ჯაყელის (სამცხის მმართველის- 1285-1306 წწ.) ქანდაკების არქიტექტურულ-მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა საკონკურსო წესით შესყიდვა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა_____ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება 4 ეგზემპლიარად და CD დისკით შემდეგ მისამართზე ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2.

ბ) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები შემსყიდველის დაკვეთით.

ასევე განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველუყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულობები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განახორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ----------

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება,

მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორების შეუძლებელებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს ----------.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტაა-ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დღგ-ს არგადამხდელობის შესახებ ცნობის (საგადასახადო ორგანოდან) წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელდების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით. 10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას

შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.
10.4 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

20.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.
20.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს უფლებამოსილია შეწყვეტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს ------.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულობების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულების შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო სამი შემსყიდველს.

შემსყიდველი ორგანიზაცია: **მიმწოდებელი ორგანიზაცია:**

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გიორგი კოპაძეს

_____

მცხოვრები _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მივიღო მონაწილეობა, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის ___ თებერვალს გამოცხადებულ №___ კონკურსში, ქ. ახალციხეში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის (ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის) ძეგლის ,,რაბათის უბანი" ტერიტორიაზე ბექა I ჯაყელის (სამცხის მმართველის- 1285-1306 წწ.) ქანდაკების არქიტექტურულ-მხატვრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე.

დანართი:

1. რეკვიზიტები;
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____

სულ ფურცლების რაოდენობა:

განმცხადებელი,

_____

,,____" ,, _____" 2015წ

საკონტაქტო ნომერი:

პირადი ნომერი:

კონკურსანტის რეკვიზიტები:

1. კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
3. კონკურსანტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
4. საიდენტიფიკაციო კოდი:
5. კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:
6. ელექტრონული მისამართი:
7. ბანკი:
8. ბანკის კოდი:
9. ანგარიშსწორების ანგარიში:

კონკურსანტის----------

(ხელისმოწერა და ბეჭედი)